ხუთშაბათი, 5 აგვისტო, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ხუთშაბათი, 5 აგვისტო, 1904 წ.

# ივერია

№ 180 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 180

გაზეთის ფასი:

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

**წლ ურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

---

**ქვრივი მარიამ როსტომის ასული სულხანიშვილისა და ნიკოლოზ ივანეს ძე სულხანიშვილი ძმით და დებითურთ** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

**ივანე დავითის ძე სულხანიშვილის**

სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება სოფ. ტირძნისში, წმ. ღვთისმშობლის კარის ეკლესიაში, 6 აგვისტოს, დილის 10 საათზედ.

(1—492—1).

---

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

---

## „ივერია“

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჭღირს:

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . 2 „ 50 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 3 „ —

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საბუნჩაში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

---

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნეთ.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუღალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევსა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა.

(24—10)

---

«ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» გამგეობა ამით აცხადებს, რომ სეკდემბრის პირველიდგან საჭიროა

## მასწავლებელი

«საზოგადოების» სკოლისათვის სოფ. ყალამშიაში (ბორჩალ. მაზრა). მასწავლებელს ექმნება ჯამაგირი თვეში 30 მან., ბინა და შეშა. მსურველმა უნდა წარმოადგინონ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები «საზოგადოების» გამგეობაში, (Тифлисъ, Общество Грамотности).

(2—1).

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან. „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ქაჯანა

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

---

## ხუთი ახალი წ. გნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილა ჭავჭავაძის ლექსები . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ჩვენ მიერ გამოცემულს წიგნების მყიდველებს მანეთში, **თითო აბაზი დაეთმობა.**

**მისამართი:** Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(40—3).

---

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

---

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

---

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».

ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი №** 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. გალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტუღუშლაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**მრ. მ. სობოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჭხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროატები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კროატით.

46—8 ტელეფონი № 274

(წ.)

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ელდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ბ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**მ. ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

პორტ-არტურის ესკადრა.—ბალტიის ესკადრა.—გენერალ რენენკამფის ბაასი.

იაპონელებმა 17 ივლისს პორტ-არტურთან ვეშაპის ქედი აიღეს, რომელიც საიმედო სიმაგრეს შეადგენდა, და ერთი კვირის განმავლობაში ამ ქედზედ დიდი ციხის სანგრევი ზარბაზნები დააყენეს. აქედგან პორტ-არტურს ყუმბარები დაუშინეს, რომელიც არა თუ ციხეს და ქალაქს აზიანებდა, არამედ ნავთსადგურსაც ჰხვდებოდა. ამ ზარბაზნების ტყვია 15—16 ვერსტის მანძილზე მიდის. ვეშაპის ქედიდგან-კი პორტ-არტურის ნავთსადგურამდე მხოლოდ რვა ვერსტია. ამ მანძილზე 11—14 ფუთიანი ყუმბარა, ლიდდიტით გატენილი, მძლავრად მომქმედობს.

სამხედრო გემების გაჩერება პორტ-არტურის ნავთსადგურზე შეუძლებელი-ლა იყო, რადგან გემები სულ დაიმსხვრევოდა. ამიტომ რუსის ესკადრას ორში ერთი უნდა ამოერჩია: ან ნავთსადგურიდგან გასულიყო და „ვეფხის კუდს“ (კლდეს) ამოჰფარებოდა, ან არა და სრულიად მიეტოვებინა პორტ-არტური და ვლადივოსტოკისკენ წასულიყო. პირველ შემთხვევაში ესკადრას იმნაირივე განსაცდელი მოელოდა უმოქმედოდ და უმოძრაოდ ყოფნის დროს, რაც დაემართა ომის დაწყების პირველ ღამეს და შემდეგ 11 ივნისს, ე. ი. შესაძლო იყო იაპონელების ნაღმოსნები ღამე მიპარულიყვნენ, ნაღმიანის ყუმბარებით იერიში მიეტანათ და გემები დაეზიანებინათ. მეორე შემთხვევაში, თუ ესკადრა ვლადივოსტოკისკენ წასვლას გაბედავდა, ადმირალ ტოგოს ფლოტთან შეტაკება აუცილებელი იქმნებოდა, რადგან პორტ-არტურთან იაპონელების კრეისერები მუდამ დარაჯობენ და რუსის ესკადრა ვერ გაეპარებოდათ. მაშასადამე, რუსის ესკადრა ადმირალ ტოგოს ესკადრასთან შეჯახებას არ უნდა მორიდებოდა. კონტრ-ადმირალმა ვიტგეფტმა სწორედ ეს გზა არჩია, ესკადრის ტყუილად დაღუპვას ისევ მამაცური ბრძოლა ამჯობინა. ასეთი გადაწყვეტა მით უფრო სახარბიელო იყო, რომ პორტ-არტურისა და ვლადივოსტოკის ესკადრების შეერთება იაპონელების ფლოტის პარპაშობას ბოლოს მოუღებდა და ომის ბედს სხვანაირად გადაატრიალებდა.

28 ივლისს, დილის ასე 7 საათზედ, პორტ-არტურის ესკადრამ დაიწყო გამოსვლა ნავთსადგურიდგან. ამ ესკადრაში იყო 6 საესკადრო ჯავშნოსანი, 4 კრეისერი, საავადმყოფოდ გადაკეთებული «მონგოლია» და 5 ნაღმოსანი, სულ 16 გემი. ნაღმოსანთაგან, ეტყობა, მხოლოდ ეს 5 ამოურჩევია უზიანო, რომლებსაც ოთხის-ხუთის დღით ზღვაზე სიარული შეეძლოთ. ათს დიდ გემზე 120 დიდი ზარბაზანი იყო, რომელიც ერთბაშად 580 ფუთს ტყვია-ყუმბარას ისვრის

დილის 9 საათზე ესკადრა ნავთსადგურიდგან გასული იყო და სამხრეთისკენ მიდიოდა. იქვე ახლო იაპონელების 11 კრეისერი და 17 ნაღმოსანი დაუხვდა, რომლებმაც უკან-უკან დაიწყეს, როგორც ეტყობა, იმ განზრახვით, რომ რუსის ესკადრა გაეტყუილებინა ადმირალ ტოგოს ესკადრამდე. ადმირალ ტოგოს არ დაუგვიანია და რუსის ესკადრას დაედევნა. იმის ესკადრაში 17 დიდი გემი იყო 235 დიდ ზარბაზნით, რომელთა ერთი სროლა ტყვია-ყუმბარაც 1,133 ფ. უდრის. როგორცა სჩანს, იაპონელების ესკადრა თითქმის ერთი-ორად ძლიერი ყოფილა რუსისაზედ.

ეს ორი ესკადრა ერთმანერთს დაუახლოვდა და შეებრძოლა. შედეგი ცოტად თუ ბევრად დეპეშებიდგან ვიცით. (რ. ვ.).

—

პორტ-არტურიდგან წასასვლელად რუსის ესკადრას ოთხშაბათი იმიტომ ამოურჩევია, რომ ადმირალ ტოგოს ესკადრა საბრძოლველად მოუმზადებელი დ მისი მეზღვაურნი მოღალულ-მოქანცულნი ეგონა, რადგანაც წინა დღეებში, თითქმის მთელი კვირა, განუწყვეტლივ ზღვაზე იყო დ პორტ-არტურზედ მიმავალ ხმელეთის ჯარს ეხმარებოდა. (ბ. ვ.).

—

ბალტიის ზღვის ნავთსადგურების უფროსმა კომანდირმა ვიცე-ადმირალმა ბირიულოვმა და კაპიტნის უფროსმა თანაშემწემ გენერალ-მაიორმა ლარინმა 29 ივლისს «ჩაიკა» გემით მოიარეს დოკები და დაათვალიერეს ახლად აგებული შესასწორებელი და შესაიარაღებელი გემები, რომლებიც შორეულ-აღმოსავლეთს უნდა გაიგზავნოს: პირველ ხარისხის კრეისერები «სვეტლანა» და «ადმირალი ნახიმოვი», მეორე ხარისხისა—«ალმასი», საესკადრო ჯავშნიანები «ოსლიაბია» და «იმპერატორი ალექსანდრე III».

—

## გენერალ რენენკამპფის ბაასი.

გენერალი რენენკამპფი, 30 ივნისის ბრძოლაში, დაჭრილი „ნოვ. ვრემიას“ კორესპონდენტს ი. ელეცს უნახავს ლიაოიანის საავადმყოფოში და მასთან ბაასიც ჰქონია. კორესპონდენტმა, სხვათა შორის, ჰკითხა:

— როგორ მოგწონთ იაპონელების ტაქტიკა? გენერალი ცოტა ხანს დაფიქრდა და უპასუხა:

—უწინარეს უნდა აღვნიშნოთ მათი სისტემატიური მოქმედება. წესი და რიგი ყველაფერში ეტყობა, სულ წვრილმან საქმეშიაც-კი და მეტადრე ახალ ბანაკის მოსაგერებლად მოწყობაში. ყოველ ოთხხუთ ვერსზე თქვენ დაგხვდებათ არა ნაკლებ ოთხის ერთმანერთთან გადაბმულ-შეერთებულ სიმაგრეებისა, რომლებიც საოცრად არის მოწყობილი. სიმაგრეები ტელეგრაფითაც კი არის შეერთებული. ყველგან ფიცარზე გაკრულია რუკა და დახატულია ყოველი შესანიშნავი საგანი იმ მიწა-წყალისა, აღნიშნულია მანძილი მათ შორის და საერთოდ მრავალი საჭირო ცნობები..

ყოველი მაღლობი თუ დაბლობი იაპონელებისათვის გამოსადეგია და ყველგან თავისებურ მოხერხებას იჩენენ. ბევრჯერ არხეინად მიდიხარ, იაპონელების კვალიც კი არა სჩანს, და ზედ წააწყდები მათს საფარსა თუ სიმაგრეს.

ისინი ძალიან ფრთხილობენ იმედი ნუ გაქვს, რომ ხმლით ჩაერიო—ახლოს არ მიგიკარებენ. ხოლო უფროსები და აფიცრები ხშირად სცდებიან და გაჭირვების დროს ირევიან.

იაპონელები, ჩემის აზრით, ცუდი მსროლელები არიან და ტყვია-წამალს ცუდად აფუჭებენ. მე‧რა-დენჯერმე მითქვამს ჩვენ ყაზახებისთვის, იაპონელებს საერთოდ „პოდსუდში“ მივცემდი ხაზინის ქონების გაფლანგვისათვის.

— ჩვენი ყაზახები? ისინი როგორ-და მოქმედობენ?—ჰკითხა კორესპონდენტმა.

— ყოჩაღები არიან, რა თქმა უნდა! აი, ამ დღეებში რა ამბავი მომიტანეს:

22 ივლისის ბრძოლის შემდეგ, სიგოულინთან, იაპონელებმა უკან დაიწიეს. ერთი ჩვენი ყაზახი აკსენიევი ქვეითად სამს მხედარს იაპონელს დაედევნა, სამივეს დაჭერა მოუნდა და გაექანა. როცა მიუახლოვდა, იაპონელებმა დაინახეს და შტიკები მოუმართეს. ერთი მათგანი ყაზახმა ხმლით ჩამოაგდო, მეორეც დასჭრა, მაგრამ იმათაც სამს ადგილს ატაკეს შტიკი და ხმალიც გადუტეხეს.

აკსენიევი ეძგერა მესამე იაპონელს, ცხენიდგან გადმოითრია და შეძიგძიგდნენ. ამ დრის შორიდგან ყაზახები გამოჩნდნენ და ეკსენიევის საშველად გაეშურნენ. ვიდრე ისინი მიეშველებოდნენ, იაპონელმა დაჯაბნა ყაზახი, თითი მოაკვნიტა, ყელში უკბინა და ორთავენი ულონოდ დაეცნენ. იაპონელმა მაინც ძალღონე მოიკრიბა და თავს უშველა. აკსენიევი ჯვარზე წარვადგინე. ის ეხლა კარგად არის და კვალად რაზმშია. ყაზახები უთითობას უკიჟინებენ.

იმავე დღეს დაჭრილი იაპონელი აფიცერი თავის ჯარს ჩამორჩენილიყო და კოჭლობით დასდევნებოდა. ერთს ჩვენს ყაზახს იაპონელი ჩვენად მიელო და საშველად გაეჩქარა. მიუახლოვდა და მოახსენა:

— თქვენო კეთილშობილებავ, ცხენი ინებეთ!

იაპონელი მოუბრუნდა და რევოლვერი დაახალა, ხოლო ვერ მოარტყა.

ყაზახი ისე გაშრა, რომ ცხენს შემოახტა და გამობრუნდა. ვგონებ, ეხლაც დარწმუნებული არ არის, ის უცნები ჩვენი აფიცერი იყო თუ იაპონელი.

— პაველ კარლოვიჩ, მე სრულიად გადამავიწყდა მეკითხნა, როგორ მოგიყვანეს ლიაოიანს?

— ბრძოლის შემდეგ თხუთმეტი ვერსი საკაცეთი მატარეს მდინარე ტაიძიხემდე. იქ ყაზახებმა ნავების ბორანი გამართეს, ზედ იატაკი დააგეს და ხის შტოების ქოხი გააკეთეს. მდინარეზე ვიმოგზაურეთ რამდენიმე დღე. მე გულაღმა ვიწექი და ცაში ფრინველებს ვესროდი. ამით ვერთობოდი. ბენსიკუში სრეტენის პოლკის ბატალიონი დამხვდა. იქ კარგის სადილით გაგვიმასპინძლდნენ და, რაც უფრო საამური იყო, პურიც მოგვართვეს, რომელიც, დიდი ხანია, თვალით არ გვენახა იმაზე გემრიელად არა გვეჩვენა-რა...

# ტფილისი

—

*** გუშინ ჩელიაბინსკიდგან შემდეგი დეპეშა მოგვივიდა: „გადავვლეთ-რა ურალი, ვუგზავნით სალამს ნათესავთ, ნაცნობთ, თანამსახურთა და ძვირფასს სამშობლოს. პოდპოლკოვნიკი თავ. ლადო მაყაშვილი. ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც, გადაბეჭდონ ეს ამბავი“.

თავ. ლადო მაყაშვილი ტფ. სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკში მსახურებდა—ზედამხედველ კომიტეტის წევრად. შორეულ აღმოსავლეთისაკენ ივლისის პირველ რიცხვებში გაემართა.

*** 3 აგვისტოს ქალაქის გამგეობამ დაადგინა. მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოზის ძის დაბადების დღის აღსანიშნავად გადაიდოს 1,000 მანათი ტფილისის ღარიბ მცხოვრებთათვის დასარიგებლად.

*** ქალაქის გამგეობის უკანასკნელ კრებაზედ ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წარადგინა განსახილველად საგანი იმის შესახებ, თუ რით აღინიშნოს სასიხარულო ამბავი — მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადება. კრებას დაესწრო საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ა. ს. ბაბოვი, რომელმაც წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, ვიშუამდგომლოთ მის იმპერატორებით უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის წინაშე ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ და, თუ ნებას დაგვრთავს, პოლიტეხნიკუმს მის უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოზის-ძის სახელი ვუწოდოთ. პოლიტეხნიკუმის საჭიროებისათვის უნდა გადაიდოს ყველა ის თანხა, რომელიც ტფილისმა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქებმა გადასდეს ტფილისში უმაღლეს სასწავლების დასაარსებლად (ტფ. თვით-მმართველობას ამ საქმისათვის გადადებული აქვს 100,000 მან. და შენობისათვის საჭირო მიწა), აგრეთვე ა. ი. მანთაშევისა და სხვა კაცთა და დაწესებულებათაგან ამავე საგნისთვის შეწირული ფული და მიწა შენობის ასაგებად. რაც დააკლდება პოლიტეხნიკუმის შენახვისათვის სამყოფ ფულს, იმის შესაკრებად უნდა გაიმართოს ხელისმოწერა მთელს კავკასიაში და ამ ხელისმოწერისათვისაც ვიშუამდგომლოთ. ქალაქის გამგეობამ მოიწონა ა. ს. ბაბოვის აზრი და დაადგინა, მოიწვიოს ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს ეს საგანი.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე განუხილავს წესდება ტფილისში განზრახულ ქართულ საფილარმონიო საზოგადოებისა. სამინისტროს წესდება შეუსწორებია და მთავარ-მართებლის კანცელარიისათვის დაუბრუნებია. მთავარმართებლის კანცელარია წესდებას გადასცემს საზოგადოების დაარსების მოთავეთ იმის გასაგებად, სურთ თუ არა ამ შესწორებულ წეს ებით საზოგადოების დაარსება.

*** ტფილისის სავაჟო მეორე გიმნაზიის მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებასა და პირველ კლასში მისაღები ეგზამენები მოჰხდება 23 აგვისტოს. დანარჩენ კლასებში თავისუფალი ადგილები არ არის. განმეორებითი ეგზამენები დაიწყება აგრეთვე 23 აგვისტოს. დირექტორი აცხადებს, რომ იმ მოსწავლეთ, რომელთაც ქალაქში დედ-მამა არა ჰყავთ, უნდა იცხოვრონ საპედაგოგიო საბჭოს მიერ ნება-დართულს ოჯახებშიო.

*** «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» ფოტოგრაფია, რომელიც განსვენებულმა ალ. ს. როინაშვილმა უანდერძა ამ „საზოგადოებას“, ამ დღეებში იჯარით აიღო ფოტოგრაფმა ბასევიჩმა, რომელიც ეხლახან ჩამოვიდა რუსეთიდგან.

*** პარასკევს, 6 აგვისტოს, დილის 10 საათზედ, ოლგას ქუჩაზედ, თავ. ბეგთაბეგოვის სახლში, ტფილისის იაფ-ფასიან და უფასო საჩაიე-სასადილოთა გამმართველი საზოგადოება ჰმართავს იაფფასიან საჩაიეს, სადაც შემდეგი ნიხრი იქმნება დაწესებული: კერძი (პორცია) ერთის მოწყობილობითა და ორ ნატეხ შაქრით ეღირება 2 კაპ., ორის მოწყობილობითა და ოთხ ნატეხ შაქრით — 3 კაპ.; ადუღებული წყალი — უფასოდ. საჩაიე გაიღება დილის 7 საათზედ და დაიკეტება—საღამოს 8 საათზედ.

*** ტფილისის დედათა მესამე გიმნაზიაში განმეორებითი ეგზამენები დანიშნულია 23—26 აგვისტოს, ხოლო მისაღები კი—25—23 აგვისტოს.

*** ტფილისის კადეტთა კორპუსში სწავლა დაიწყება 16 აგვისტოს, რასაც საყოველთაოდ აცხადებს საოლქო სამხედრო შტაბი. კავკავის კადეტთა კორპუსში კი სწავლა უფრო გვიან დაიწყება—27 აგვისტოს.

*** ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის უკანასკნელ კლასის მოსწავლენი ამ კვირაში, სკოლის გამგის ბ. ნ. ხუნდაძის ხელმძღვანელობით, გაემგზავრებიან საქარის სანერგეს დასათვალიერებლად და შემდეგ ჩაქვაში წავლენ ჩაის პლანტაციების გასაცნობად.

*** ტფილისის დურგალთა ამხანაგობის მორიგი კრება დანიშნულია 8 აგვისტოსათვის. კრება მოჰხდება ამხანაგობის ახალ ქარხანაში, ელისაბედის ქუჩაზედ, სახლი № 25.

*** რედაქციამ მიიღო ჟურნალ «მოამბის» მე-6 (ივნისის) №-რი, რომელშიაც, სხვათა შორის, დაბეჭდილია ახალი მოთხრობა ჩვენის ნიჭიერ ბელეტრისტის მელანიასი—«ქვრივის დღიური».

# საქართველოს ამბები

—

*** გამოძიება დაზღვევ საზოგადოების «როსსიას» აგენტის კაჭახიძის მოკვლის თაობაზედ უკვე დასრულდა. დამნაშავე თავართქილაძე პასუხის-გებაში მისცეს, როგორც კაჭახიძის მკვლელი და ორის სიყალბის ჩამდენი. პირველი სიყალბე ჩაუდენია ამ ნაირად: თავართქილაძემ დააზღვევა თავისი დედა —ივლიტე მკურნალიას ასული—და ექიმს გასასინჯად კი თავისი დეიდა წარუდგინა—მაკა მკურნალიას ასული. მეორე სიყალბე იმაში მდგომარეობს, რომ თავართქილაძისაგან მიღებულ ნოტარიუსის რწმუნების ქაღალდზედ ივლიტა მკურნალიას ასულის მაგიერ, ხელი მოაწერა მაკა მკურნალიამ, რომელიც აგრეთვე პასუხის-გებაში მისცეს და უკვე დააპატიმრეს. (ჩერ. ვეს.).

*** ფოთიდგან იუწყებიან, რომ სასამართლოსა და ადმინისტრაციის მოხელეებმა აღმოაჩინეს და შეიპყრეს ის ავაზაკები, რომელნიც სადგურ ახალ-სენაკის მახლობლად თავს დაესხნენ მატარებელს, გაძარცვეს ფოსტა და გაიტაცეს 102,000 მანეთზედ მეტი. ამათ რიცხვში იყო ტფილ. სახელმწიფო ბანკის განყოფილებიდგან ფოთის ხაზინის სახელზედ გაგზავნილი ერთი ამანათი, რომელშიაც 100,000 მანეთი ქაღალდის ფული იყო. ამ საქმეზედ ფოსტალიონსა და ფოსტის მოხელეს გარდა, რომელნიც ფოსტას მიჰყვებოდნენ და რომელნიც მატარებლის ვაგონში თოკით შებოჭილნი იპოვნეს, დააპატიმრეს კიდევ ხუთი კაცი. ამ უკანასკნელთ გაჩხრეკის დროს უპოვეს 1,700 მან. ქაღალდისა, ოქროსი და ვერცხლის ფული და 22,000 მან. სრულიად ახალი, ჯერ დაუკეცავი ქაღალდის ფული. ეს ფულები, როგორც ზედ დაბეჭდილ ნუმერაციებიდგანა სჩანს, ეხლახან გამოცემულია სახელმწიფო ბანკისაგან. დატუსაღებულნი არ ამბობენ, თუ საიდგან იშოვეს ამოდენა ფული და არც დანაშაულის ჩადენაში გამოტეხილან ჯერ.

*** სოფ. დიღომში (ტფ. მაზრა) 4 აგვისტოს, ნაშუადღევის მეორე საათზედ, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ მუხრანიანთ სათივეში ცეცხლი წაუკიდეს თივას, რომელიც ეკუთვნოდა მოიჯარადრეს თავ. ნიჟარაძეს. დაიწვა სამას ურმამდე თივა, საბძელი და ბზე. თუმცა ბევრს ეცადნენ, მაგრამ ცეცხლის ჩაქრობა ვერას გზით ვერ მოახერხეს, ამნაირი შემთხვევა აქ ხშირია: 1-ლ აგვისტოს, ღამით, გადასწვეს მუხრანიანთ ჭალაში ოც ურმამდე ერთად დაზვინული თივა. ბოროტ-განმზრახველთა კვალისთვის ჯერ ვერ მიუგნიათ. ზარალი დიდია.

# ფელეტონი

—

## ძველი და ახალი სამღვდელოება

(უბირის კაცის შენიშვნები და მოსაზრებანი).

(დასასრული *)

რა იყო აქციზი, რა იყო მარილის ბაჟი, რა იყო ტყის ფული, საბალახისა და სხვა და სხვა? გადავარდა ბატონ-ყმობა და გადმოვარდა ათასი გამათახსირებელი გადასახადი. გლეხს მამული გამოელია, გამოეცალა ხელიდგან, დღის სავალზედ შეექნა საძებარ-სახვეწარი. დღეს ხვალიობით ყელთამდინ სავსე ოჯახი გამოიფხიკა. ძველმა ღვდელ-დიაკვნებმაც საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალეს. რომელნიც გლეხის მწუხარებას დარაჯათ ედგნენ, იმათი ადგილი მეხუთედ ნასწავლმა შუშუტა მღვდლებმა დაიჭირეს, რომელთაც მამა-პაპათა ნატამალი აღარა ეცხოთრა. ძველებურმა სწავლებამ თქვენი ჭირი წაიღო და ახლისათვისაც ძალ-ღონე არ შესწვდათ. ამ უსუსურმა ბავშვებმა ხმა მაღლა დაიწყეს ყვირილი, თავად-აზნაურობას ყმები ჩამოართვეს, ჩვენ ჩაგვაბარეს და წესიერად არ გვემსახურებიან, ჩვენც ხომ იმათსავით ბარსა და თოხს არ ავიღებთ ხელში და იმითი არ ვარჩენთ ცოლსა და შვილსაო. ამათი ღაღადი არ დარჩა უნაყოფოდ უდაბნოსა შინა. მთავრობამ მოწყალეს თვალით გადმოჰხედა და მღვდელსა და ერს შორის ნიხრი დასდო ყოველისავე მღვდელ-მოქმედების შესრულებისათვის. აიღო ამანაც უშველებელი ლიტრა-ჩანახი და ისედაც გაბეგრილ ხალხს რაღაც უჩვეულო დრამის თხოვნა დაუწყო. ან-კი რა ექნა, ფუფუნებით ცხოვრებას მიჩვეულს მამა-პაპათა დანარჩენი დღითი-დღე ხელიდგან ეცლებოდა და ხელის განძრევა და მუშაობა, არ ვიცი, ცოდვათა თუ სათაკილოდ მიაჩნდა. ამ დრამის გარდა გლეხს, რაშიც დაისაჭიროვა მოძღვარი, ყველაფერში ფულის თხოვნა დაუწყო, როგორც ზევითა ვსთქვით, ოცი მანეთიდგან უკანასკნელი 17 მანეთი ჯვრის საწერი, 3 მანეთი წინ გასაძღოლი და მებრვე სხვა. მღვდლებისაგან გათარხნებულმა ხალხმა თან იუკადრისა და თანაც ვერ შესძლო ყოველ ამის ხდა, სხვა და სხვა გადასახადისაგან გაბეგრილმა, და ურჩობა დაუწყო. გულ-მოსულმა შუშუტა მღვდლის გულმა მეტი ველარ შესძლო და საჩივარი აფრინა, სადაც ჯერ იყო...

მთა აღყვავდა კეთილისა და დაუღალავის მოძღვარ-მასწავლებლების წყალობით. საუკეთესო მამულის შვილები მამულსავე უბრუნდებიან, რომ მეტი სინათლე შეიტანონ ხალხში. დიაღ, ესმით რომ მარტო ოდენ სწავლა-ცოდნას შეუძლიან ადამიანის სწორე გზაზედ დაყენება და ამიტომ ეს ოდესმე ველური მთის ხალხი ქალებსაც კი საუკეთესო სკოლებში ზდის და ჩვენში კი, ვაი სირცხვილო, ვაჟი-შვილებიც კი უსწავლელნი რჩებიან, ნამეტურ გლეხის შვილები. ვინ არის დამნაშავე, თუ არ სამღვდელოება, რომელსაც იმდენი გულ-კეთილობა ვერ გამოუჩენია, რომ სოფლის შვილებს ქართული წერა-კითხვა მაინც ასწავლოს.... ამისთანა უსულ-გულო დ გაუგებარმა მღვდელმა თავის შესაფერი ადგილი უნდა მოსძებნოს და მათ ადგილს სწავლა-ცოდნითა და დაუზოგველის მეცადინეობით აღჭურვილი მამულის შვილები გამწესდნენ. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ეს ჯანითა, ღონითა და ენერგიით სავსე ყმაწვილი კაცები მღვდლობას ჭირივით გაურბიან. ასე ჰგონიათ, რომ ანაფორიანისთვის კი კაი კაცობა არ შეიძლებოდეს. თქვე კაი კაცებო, იმოდენა არც ერთ ადმინისტრატორს, არც ერთს ბოქაულს არ შეუძლიან გააკეთოს, რაც ერთ სოფლის მღვდელს, ოღონდაც კი მამულის შვილობით იყოს გამსჭვალული.

გადაავლეთ გონების თვალი ქართლსა და კახეთს, თუ გული არ მოგიკვდესთ. გაყინულ-გათოშილ უდაბნოს დაჰმგზავსებია ეს ოდესმე სწავლა-ცოდნის დედა ბურჯი. თქვენ, სწავლა-ცოდნით აღჭურვილნო ყმაწვილნო კაცნო, ჩაიხედეთ გულის სიღრმეში, გადაავლეთ თქვენს მშობელსა და აღმზრდელ ქვეყანას თვალი, შეიბრალეთ თქვენივე ღვიძლი ძმები, რომელნიც გლეხების სახელითა გვყვანან დანათლულები, გამოუძებნეთ შესაფერი მალამო. «სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკუდარ არსო». ჩვენ ორივე დავკარგეთ, სარწმუნოებაცა და საქმეც. ეს კი ყველასათვის დასაფიქრებელი და სავალალოა. ან კი ვილასთვის რა გამოსადეგია ისეთი კაცი, რომელსაც არ ესმის სარწმუნოება და არ იცის, ენას რა მნიშვნელობა აქვს შთამომავლობისათვის. ასეთი უნიადაგო ერი უფსკრულის პირზედა სდგას. ერთის ხელის კვრის მეტი კი არ არის საჭირო, რომ მთლად გამოეთხოვეს ყოველსავე. ჯერ კიდევ დროა, თუ ჩვენმა ყმაწვილ-კაცობამ გადაიწერა პირჯვარი. რამდენადაც ვიცით, ეგზარხოსმა ალექსიმაც შეჰნიშნა ეს ნაკლი და ამიტომ უსწავლელი მღვდლები გადაჰყავს შესაფერ ადგილს და მათ ადგილს ჯანითა და ღონით სავსე სემინარიელებს აბარებს გათახსირებულ სამწყსოს და ჩვენ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შესვლისათანავე სწავლა-ცოდნის საქმეს შეუდგებიან და მომავალ ახალ თაობს გზად და ხიდად გაედებიან. მით უფრო, რომ დღეს სოფლის სამღვდელოებას სატირელ-საწუწუნო აღარა აქვსრა. სოფლიდგან გამორჩენის გარდა, საკმაო ჯამაგირებიც ეძლევათ. ქაშის შეშინებული დოს უბერავდაო, იტყვიან ხოლმე. შეუგნებელ მღვდლის გადამკიდე დღეს მღვდლობას ველარავინა ჰბედავს, იმიტომ კი არა, კუჭს ვერ გავიძღებო, მარტო იმიტომ, რომ მღვდელსა და ერს შორის შური და მტრობაა გაბნეული.

მართლაცა და ძნელზედ ძნელია ამისთანა დროს ისეთის ტვირთის მოკიდება, როგორიც მღვდლობაა, მაგრამ ვისაც სამშობლო ქვეყანა უყვარს, ვისაც ქრისტე სწამს, ის თავს საწამებლადაც არ დაჰზოგავს, არამც თუ ქვეყნის სასამსახუროდ. დიაღ, ასე უქმნიათ მამებს და ასე უნდა ჰქმნან შვილებმაც (თუმცა ზოგიერთებისათვის ვერაფერი თამასუქია მამა-პაპათა მოგონება). ჩვენი მამა-პაპა დროს შესაფერ იარაღსა ჰხმარობდა და ჩვენც ასე უნდა ვქმნათ, შვილოებმა. თორნიკე ერისთავს ერთს ხელში ჯვარი ეჭირა და მეორეში—ხმალი მიაჩერს,— ხალხი ამასა თხოულობს და დროსაც ეს ესაჭიროებაო. ნუ თუ ამ გმირ ადამიანის შთამომავალთ მომაკვდინებელ ცოდვად ჩაუთვლის ვინმე, ვისაც კი რითიმე შეუძლიან, დაეხმაროს საზოგადოებას, მამულს და დაქვეითებულ სარწმუნოებას.

ზევითაცა ვსთქვით, ძალიან ძნელია ასეთ აწეწილ და დაქვეითებულ დროს სათავეში ჩადგომა, მაგრამ განა ქრისტესათვის ადვილი იყო უშველებელის ჯვრის ზიდვა და ზედ სულის განტევება? დაუფიქრდით ამ გამსჭვალულ ადამიანის სურა‥ს და პასუხი მომეცით. მაგრამ პასუხი ადვილია, საქმე ძნელი. და აკი ამ სიძნელეს გაურბის ჩვენი ახალგაზდობა. დროა-კი, ღვთის წინაშე, გამოისყიდონ ზოგიერთებისაგან გაუკუღმართებული საქმე და კვლავ აღადგინონ წარსული მამა-შვილურური ძმობა-ერთობა და სიყვარული.

აი, რა თხოულობს თვით მაცხოვარი, აი როგორი უნდა იყოს დღევანდელი მღვდელი, რომ ხალხსაც ისე უყვარდეს, როგორც ქრისტე, როგორც თავი თვისი. ვისაც ყურნი აქვს სმენად, ისმინონ და მე კი მომიტეონ ყოველივე შეცოდებანი ჩემნი, ნებსითნი და უნებლიეთნი, ამ წერილით ჩემ მიერ ქმნილნი.

ქართლელ-კახელი.

*) იხ. «ივერია» № 179.

⁂ 30 ივლისს, საღამოს 9 საათზედ, ქალ. ოზურგეთში ბოროტ-განმზრახველნი თავს დაესხნენ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს ი. ი. ზელინსკის. ბოროტ-განმზრახველთ, პალ. მის გაზეთის სიტყვით, მეორე ოთახში შეხვედრიათ ზელინსკის ცოლი ბავშვით ხელში, რომელსაც ყვირილი დაუწყია. ყვირილზედ გამოსულა თვითონ ზელინსკი, რომელიც ბლუზაში ყოფილა გამოწყობილი და ბოროტ-განმზრახველთ ვერ უცვნიათ; ამიტომ უკითხავთ: „სად არის ზედამხედველიო". ზელინსკის უპასუხნია, —მეორე ოთახშიაო, და თვითონ კარები ჩაუკეტია. ბოროტ-განმზრახველთ დაუწყიათ სროლა. ხმაურობაზედ გამოვარდნილან მეზობლები. ბოროტ-განმზრახველთ შეშინებიათ და მოუკურცხლიათ. ბოროტ-განმზრახველნი «ჩაქურად» ყოფილან გამოწყობილნი და ყველას ნიღაბი ჰქონიათ აფარებული. სულ 11 კაცი ყოფილა.

⁂ 28 ივლისს დაბა სურამ დიდან ძველის გზა-ტკეცილით ქუთაისში წავიდნენ ექსკურსიად ტფილისის საიუნკრო სასწავლებლის მოწაფენი, რომელთაც თან ახლავთ მასწავლებელნიც. ექსკურსანტები დაბინავდნენ ღრუბებით სოფ. კახიანაურში.

⁂ ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთისა, ქუთაისისა და ახალ-სენაკის მაზრებში საქონლის ჭირი გაჩენილა.

⁂ სადგური ჯუმათი აქამდე ითვლებოდა „ნახევარ" ანუ „პატარა სადგურად" და ჩვეულებრივი სამგზავრო მატარებელი მხოლოდ ორ წუთს ჩერდებოდა, ხოლო სწრაფი კი სრულიად არა. ახლა კი ჯუმათი გადაკეთებულ იქმნა სრულ სადგურად და ყველა მატარებელი, როგორც საფოსტო და ჩვეულებრივი სამგზავრო, ისე სწრაფიც, დღეის შემდეგ გაჩერდება ამ სადგურზედ და შემოღებულ იქმნება ყველა ის წესები, რომელიც დიდრონ სადგურებზედ არსებობს.

⁂ სოფ. გორისადან «ცნობ. ფურც.»-ს სწერენ: «აქ შემდეგი ამბავი მოხდა: ივლისის პირველ რიცხვებში ქალაქ ხარბინიდან თავის მამის სახლში დაბრუნდა გორისას მცხოვრები იოსებ შეყლაშვილი. სოფელში ხმა დავარდნილა: იოსები ფულის საშოვარში იყო, ბევრი ფული იშოვნა და ჩამოიტანაო. 25 ივლისს, ღამით, როდესაც იოსები შინ არ იყო, ხუთ შეიარაღებულ კაცამდე შევარდნილა ფიდო შეყლაშვილის სახლში იმ დროს, როცა თითქმის ყველას სძინებია, ერთი დარაჯად დაუყენებიათ კარში, ორნი ფიდოს ცოლსა და ბავშვებს მისცვივნიან, შეუბოჭავთ საბანში და უბრძანებიათ, ხმა არ ამოიღოთ, თორემ გაგათავებთო. დანარჩენთ ხელში ჩაუგდიათ ფიდო შეყლაშვილი და მოუთხოვნიათ, ფული მოგვეციო. ფიდოს უარი უთქვამს,—არა მაქვს ფულიო. ავაზაკებს ვერც ერთი კაპეიკი ვერ უნახავთ, მაგრამ თითონ ფიდო ისე მძიმედ დაუჭრიათ ხანჯლით, რომ რამდენისამე ხნის შემდეგ გარდაცვლილა. პოლიციამ ბოროტ-განმზრახველნი უკვე დაიპატიმრა».

⁂ იმავე გაზეთს დაბა საჩხერედან სწერენ: «ქურდობა დღითი-დღე ძლიერდება აქეთ. 15 ივლისს, ღამე, სოფელ ბახიოთში მცხოვრებ ბეჟან აბდუშელიშვილს მოჰპარეს ორი ცხენი; 18 ივლისს სოფელ ხალიფაურის მცხოვრებ კოწია მახარაშვილს მოჰპარეს 80 მან. ღირებული ცხენი; 25 ივლისს, ღამით, სოფელ საირხეს მცხოვრებ ანდრია შუკაკიძეს მოჰპარეს ერთი უღელი ხარი. გლეხს ამ ერთ უღელ ხარის მეტი არა გააჩნდა-რა. წვრილმან ქურდობას ხომ ანგარიში არა აქვს».

---

**ს. კავთის-ხევი.** (გორის მაზრა). მადლობა ღმერთსა, აქაურმა ხალხმაც გაიღვიძა და შეიგნო ცოტაოდენი რამ მაინცა. რაც შეუძლიანთ აქაურ ახალგაზდებს, სცდილობენ, რომ სოფელში სიკეთე რამ დასთესონ და გონებით მძინარე ხალხი გამოაღვიძონ. ქართულ წარმოდგენების მართვა დაიწყეს. განზრახვა აქვთ, რომ სამკითხველოც დააარსონ. სოფელსაც ცვლილება დაეტყო. ერთმანეთის მიბაძვით, შეძლების დაკვალად, მშვენიერი ქვითკირის შენობები გაიკეთეს. აქამდის ბევრმა არც კი იცოდა, ჩვენი. სოფელი რანაირი იყო, ახლა კი საავგარაკოთაც მოდიან. ვაჭრობა გაძლიერდა, აფთიაქი დავვარსეს.

რკინის გზის სადგური აქნობამდის ძალიან შორს იყო, ღვთის მადლით, ისიც დაგვიახლოვეს და მისვლა-მოსვლაც გაგვიადვილდა. ერთის სიტყვით, ჩვენი საქმე კარგად არის. ვისურვებთ, რომკიდევ მეტი უკეთესობა დასტყობოდეს.

დ. კოტეტიშვილი.

## სასიამოვნო ამბავი.

როგორც გაზეთმა «ივერიამ» გვაუწყა, ტფილისში შემდგარა ქართულ წიგნების გამომცემელთა ახალი ამხანაგობა. ეს გარემოება ბევრს კარგს იმედებს გვისახავს გულში, რადგანაც ხსენებულ ამხანაგობის აზრი მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა, განსაკუთრებით ეხლანდელს ჩვენს დროში, როდესაც ნაწილი ჩვენის ქართველობისა, ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, ისე გულცივად ეკიდება მწიგნობრობას და განვითარებას თავის ენაზედ, თითქო სამშობლო ლიტერატურა ყურადღების ღირსი აღარ იყოს. თითონაც დასდიოდიან გადაგვარების გზას და სხვებსაც ურჩევენ, რომ მათ წაჰბაძონ და თავის შვილებსაც სხვაფრივ ჩასჩიჩინებენ.

ყოველ კულტურულს ერს თავის ლიტერატურა უყვარს, ეთაყვანება, შვილებსაც თავდაპირველად სამშობლო ენაზედ წვრთნის, ანვითარებს და აძლევს პირველ დაწყებითს სწავლას. შემდეგში ასეთ ახალგაზრდობას უფრო ეადვილებათ უცხო ენების და ლიტერატურის შეთვისება და შესწავლა. ჩვენს განათლებულს ქართველ საზოგადოებაში ამას სრულებითაც ვერ ვამჩნევთ; პირიქით, უკუღმა ვიქცევით, ჯერ პირდაპირ უცხო ენაზედ ვაწყებინებთ ბავშვებს ანბანას და პირველ დაწყებითს სწავლას და შემდეგ მივმართავთ ხოლმე მშობლიურს ლიტერატურასაც. ხან სულაც არ ვაქცევთ ყურადღებას დედაენას და სამშობლო ლიტერატურას.

ამხანაგობა ჰკისრულობს ჰბეჭდოს სამნაირი წიგნები; სახალხო, სამეცნიერო და საყმაწვილო; ყველა ამ გამოცემებს, ცალკ-ცალკე რომ ავიღოთ, თავ-თავის საკუთარი პროგრამმა, სისტემა და დანიშნულება უნდა ექმნეს. ჩვენის აზრით, პირველი ორი გამოცემა, ესე იგი, სახალხო და სამეცნიერო, დროთა დაუნიშნავად და განუსაზღვრელად შეიძლება გამოიცეს, შეძლებისა დაგვარად, ხოლო საყმაწვილო გამოცემებს კი, სასურველია, რომ ექმნეს დანიშნული დრო, კვირეული ანუ თვიური, როგორც «ჯეჯილი» გვქონდა... ცხადია, ბავშვს რაკი სამშობლო ენაზედ შეუყვარდება წიგნების კითხვა და განვითარება, უცხო ენაზედაც შეიყვარებს წიგნების კითხვას და თვით განვითარებას.

სულითა და გულით ვისურვებთ, რომ პატივცემულ ამხანაგობას თავისი კეთილი და ნაყოფიერი აზრი და სიმპატიური სურვილი დროზედ და კარგს, მტკიცე ნიადაგზედ განეხორციელებინოს და ჩვენც ყველანი ზნეობრივად მოვალენი ვართ ამ კეთილ დაწყებას ჩვენის მხრივ ხელი შევუწყოთ, რითაც კი შეგვიძლიან.

მღვ. ბესარიონ ყაშაკ.

## თეატრი და ხელოვნება

კვირას, 1 აგვისტოს, ავლაბრის არაქსიანის ახალ თეატრში ქართულად სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა ვ. გუნიას ისტორიული დრამა «და-ძმა». წარმოდგენა დაიწყო თითქმის 10 საათზედ, თუმცა გამოცხადებული იყო აფიშებში $8^1/_2$ საათზედ. საზოგადოება ბლომად დაესწრო, ასე რომ თეატრის დარბაზში ტევა არ იყო, ბევრი უბილეთოც დარჩა და გულ-ნატკენი სახლში დაბრუნდა. კარგები იყვნენ: ბ-ნი მეტრეველი (ოტიას როლში), ბაღაშვილი (გაიოზ ფალავას როლში), მხოლოდ ზოგ ადგილას სუსტობდა, მაგრამ მაინც მოხდენილად თამაშობდა თავის როლს. ბ. სალაყაია (ფაშის როლში), ქ ბ. მელაშვილი (გიორგი ადამიას როლში) ძალიან მშვენიერნი იყვნენ და კარგადაც შეასრულეს თავის როლები. არა უჭირდათ რა მირველოვსაც (ყარაოღლი), ქ. ბეგიჯანიანს (გადია) და ქ. ბუჩუკურს (მარინე), რომელიც ოტიას მაგივრად «ოწიას» იძახდა. დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ ანსამბლს. საზოგადოების ვაშასა და ტაშის ცემას საზღვარი არა ჰქონდა. წარმოდგენა 1-ლ საათზედ დასრულდა.

დიმ. ხევის პირელი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად, ნება მიბოძოთ თქვენის პატივც. გაზეთის საშუალებით ვაუწყო პატივცემულ დიდი-ჯიხაიშის მცხოვრებთ, რომელნიც თავიანთ საქმეთა გამო სხვა და სხვა ქალაქებში სცხოვრობენ, რომ დიდი ჯიხაიშის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო აქამდე ნაქირავებ შენობაში იყო მოთავსებული, ახლა კი დავიწყეთ საკუთარ შენობის აგება ბიბლიოთეკისათვის და კედლები უკვე აშენებული გვაქვს, მაგრამ რაკი იმდენი შეძლება არა გვაქვს, რომ შენობა დავამთავროთ, ვსთხოვ უმორჩილესად ზემორე აღნიშნულთ, შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ საკეთილო საქმეში; იმედია, რომ თანაგვიგრძნობენ.

შემოწირულ ფულის გამოგზავნა ამ ადრესით შეიძლება: Ст. Самтреди, Диди-Джихаишская библіотека. Учителю Ивану Лежава.

ბიბლიოთეკის გამგე ივ. ლეჟავა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

3 აგვისტო.

**პეტერბურგი.** უმთავრეს შტაბის მოხსენება: «სამხრეთ მანჯურიაში არაფერი ცვლილება არ მომხდარა. მცხოვრებლები უჩივიან იაპონელებს, ძალას გვატანებენ და სახლდებიან სოფლებიდანო. წვიმები მოდის». — უმაღლესი ბრძანება: «ვბრძანებთ, დაბადება უსაყვარელესის ძისა ჩვენისა მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის ალექსეი ნიკოლოზის ძისა იდღესასწაულონ 30 ივლისსა, ხოლო სახელ-წოდება ოკდომბრის 5-სა».

**დარმშტადტი.** აქაურს რუსთა ეკკლესიაში გადაიხადეს სადღესასწაულო ღვთისმსახურება რუსის ტახტის მემკვიდრის დაბადებისა გამო.

**სოფია.** მემკვიდრის დაბადების გამო სადიპლომატო სააგენტოში გადაიხადეს პარაკლისი. დაესწრნენ მინისტრები და სადიპლომატო კორპუსი.

**ვენა.** მემკვიდრის დაბადებისა გამო 1 აგვისტოს რუსის ეკლესიაში გადაიხადეს პარაკლისი.

**ბელგრადი.** 3 აგვისტოს ტაძარში გადაიხადეს პარაკლისი ხელმწიფე მემკვიდრის დღეგრძელობისა.

**ასტრახანი.** საბჭოს არა-ჩვეულებრივს კრებაზე გადასწყვიტეს, მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების სახსოვრად ქალაქის ხარჯით აშენდეს სახლი შრომის მოყვარეობისა და ეპატიოს ხალხს ქალაქის «ნედოიმკები». 2 აგვისტოს ნაკაზნოი ატამანმა გამოაცხადა უმაღლესი მათის უდიდებულესობის მოწყალება მემკვიდრე ცესარევიჩის დანიშვნისა ყაზახთა ჯარების ატამანად. ეს ამბავი დიდის აღტაცებით მოისმინეს და დასძახეს დაუსრულებელი «ურა». ჯარი მოვიდა კაჩებურგოვის სტანიცაზე და აქ მეიდანზე გადაიხადეს დღეგრძელობისათვის ხელმწიფე იმპერატორის, ხელმწიფე იმპერატრიცისა, მემკიდრე ცესარევიჩისა და მთლად სამეფო სახლისა პარაკლისი, რის შემდეგაც დაურიგეს პაწია ხატები ღვთისმშობლისა და წმინდა სერაფიმე საროველისა და გენერალ ბოგდანოვიჩის გამოცემანი.

**ბერლინი.** გამაკარიდგან იუწყებიან, 29 ივლისს ჯარი წარმატებით წავიდა წინ გერეროს წინააღმდეგო. მიულენფელდმა ცხარე ბრძოლის დროს მტერი უკან დასწია გამაკარამდე და ეს ადგილი აიღო.

**ჩიფუ.** (რეიტერი). რუსეთის სამხედრო გემები, რომელნიც პორტ-არტურში იყვნენ, დილით ნავსადგურიდან გამოვიდნენ. იაპონელები დაედევნენ. ელიან დიდს ბრძოლასა.

**შანჰაი.** (რეიტერი). კრეისერი «ასკოლდი» დოკში შეიყვანეს. მუშაობა ამის შესაკეთებლად კარგად მიდის. ნაღმოსანი «გროზოვოი» საკანონერო ნავის «მანჯურიის» გვერდით დადგა. 5 აგვისტოს გადასწყვეტენ ჩინეთის მოხელენი ნაღმოსან «გროზოვოის» საქმესა.

**ვაშინგტონი.** რუსის ელჩმა პეკინში ჩინეთის მთავრობას მცირე ნოტა გაუგზავნა და ამტყუნებს, რომ მოაწილეობა მიიღო «რეშიტელნის» საქმეში. ნოტა ბრალსა სდებს ჩინეთის აფიცერს გამცემლობასა ც შიშარაობაში. რუსის ელჩი პასუხსა სთხოვს ინციდენტის გამო და ითხოვს «რეშიტელნის» დაბრუნებასა და აფიცრის სასტიკად დასჯასა. ჩინეთის მთავრობა სთხოვს იაპონიას, დაგვიბრუნე შეპყრობილი რუსის გემიო.

4 აგვისტო.

**პეტერბურგი.** უმთავრეს შტაბის მოხსენება: «კრეისერთა რაზმის უფროსი კონტ-რადმირალი რეიცენშტეინი იუწყება, 1 რანგის კრეისერი «ასკოლდი», რომელიც დაზიანდა, იძულებული გახდა შანჰაის წას-ვლიყო, და მივიდა იქ 31 ივლისს. ბრძოლის დროს კრეისერზე მოჰკლეს მიჩმანი რკლიცკი და დაიჭრნენ ლეიტენანტი ბარონ მეიდელი, მიჩმანები მედვედევი და ქიტკოვი და ტიტულიარნი სოვეტნიკი ხილოვი." ინგლისის ელჩმა პეტერბურგში გადასცა შემდეგი დეპეშა ინგლისის ესკადრის უფროსისა ვეი-ჰაივეიდან 30 ივლისს: «კომანდირი ნაღმოსნის «ბურნისა» ლეიტენანტი ტირკოვი მოვიდა აქ დღეს, ნაშუადღევს 3 საათზე, მეზღვაურებით შანტუნიდან ფეხითა. ის შემდეგს იუწყება: დილის 2 საათსა და 8 წუთს, ნისლის დროს „ბურნი" ქვებზე გაირიყა შანტუნგის ახლო. ყველანი გადარჩნენ. მე ნაღმოსანი ავაფეთქე. ვეი-ჰაი-ვეის ინგლისის მთავრობის მფარველობის ქვეშ მიმაჩნია ჩემი თავი. კომანდირი თხოულობს, რომ იმისი დეპეშა რუსის მთავრობას აუწყონ. აფიცრები და მეზღვაურნი ნაღმოსნისა «გემბერგზე» გადაყვანეს და ჰონგკონგს გაიგზავნებიან».

**ცინდაო.** (რეიტერი). 13 აგვისტოს, შუადღისას, ადმირალი იკადცუკი შემოვიდა იაპონიის კონტრ-ნაღმოსანით ნავთსადგურში მის უფროსის სანახავად. უფროსმა დაამოწმა, რომ რუსეთის სამხედრო გემები იარაღ აყრილიაო, ზარბაზნების სასრიალი დაუქმებული აქვთ და ტყვია-წამალი ნაპირად არის გადმოტანილიო. ამ დამოწმების შემდეგ ადმირალი წავიდა ნავთ-სადგურიდან. კონტრ-ნაღმოსანის წასვლისას გერმანიის სამხედრო გემებმა ჩვეულებრივი სალამი მისცეს. გერმანიის მთავრობის წარმომადგენელი აუწყეს იაპონელებს, რომ ყოველს გემს, რომელიც შემოვა ნავთ-სადგურში ღამე არა-განათებული, სროლას დავუწყებთო. ყოველივე ღონის ძიებაა მიღებული, რომ ჩიფუს ამბავი აღარ განმეორდეს. გერმანიის გემი გაშლილ ზღვაშია და სდარაჯოს ნავთ-სადგურში შესავალს. შიდა რეიდში გერმანიის სხვა სამხედრო გემები დგანან. იაპონიის გემთაგან აქა სდგას ერთი კრეისერი და ოთხი კონტრ-ნაღმოსანი.

**პეტროპავლოვსკი.** გაიარა აქეთა და წავიდა აღმოსავლეთისკენ გზათა მინისტრი.

**ტოკიო.** (რეიტერი). მოვიდა ადმირალ კამიმურას მოხსენება 1-ლ აგვისტოს ბრძოლის შესახებ იაპონიისა და ვლადივოსტოკის ესკადრას შორის. იაპონიის ესკადრა შეხვდა განთიადისას ულსანს ახლოს, კორეის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირას, ვლადივოსტოკის ესკადრის სამს გემს, რომელნიც სამხრეთისკენ მიდიოდნენ. როცა ამ გემებმა შენიშნეს იაპონიის ესკადრა, სცდილობდნენ ჩრდილოეთისკენ გაბრუნებას, მაგრამ იაპონიის ესკადრამ ხელი შეუშალა. ბრძოლა დაიწყო დილის 5 საათსა და 23 წუთზედ. რუსთა სამსავე გემზედ რამდენჯერმე გაჩნდა ცეცხლი. ცხადია, გემები ძლიერ დაზიანდნენ. ყველაზედ ძლიერ დაზარალდა «რიურიკი». ბოლოს რუსნი საჩქაროდ გაემართნენ ჩრდილოეთად.

**ბერლინი.** გუბერნატორი კიაო-ჩაოსი იუწყება ცინდაოდან, რომ 2 აგვისტოს, დილით, ყველა აქ მყოფს რუსთა სამხედრო გემებს იარაღი აეყარათო: ჯავშნიანს «ბეზშუმნის», «ბეზპოშჩადნის» და «ბეზსტრაშნის».

**ბელგრადი.** 3 აგვისტოს გარდახდილ იქმნა ტაძარში დიდის ამბით პარაკლისი ახალ დაბადებულ ხელმწიფე მემკვიდრის სადღეგრძელოდ.

**მარიენბადი.** მობრძანდა იმპერატორი ფრანც-იოსები. ვაგზალზედ მიეგება მეფე ედუარდი.

**პეტერბურგი.** ბიულეტენი მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცას ჯანმრთელობის მდგომარეობისა: «მშობიარობის შემდეგ არავითარი ნორმაზედ გადამეტებულობა არა დასტყობია-რა. სიცხე 3$i$, მაჯა—90. მემკვიდრე ცესარევიჩის ჯანმრთელობაც სრულიად დაკმაყოფილებულია. მათ უდიდებულესობათა ლეიბ ქირურგი გირში. პეტერგოფი, 3 აგვისტო 1904 წ.».

**ოდესსა.** ბავშვების თავშესაფართა სამზრუნველომ დაადგინა, მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების აღსანიშნავად დააარსოს თავშესაფარი 25 ყრმათათვის. ოდესის ხელოსანთა საზოგადოებამ ამ სასიხარულო ამბის აღსანიშნავად 20,000 მ. დარჩენილი გადასახადი აპატივა თავისს ღარიბ წევრთ.

**ტოკიო.** (რეიტერი). მთავრობამ გადასწყვიტა, გამოსცეს ახალი სესხი 1.500,000 მანეთისა სეულ-ფუზანის რკინის გზის გასაყვანად.

**ჰანნოვერი.** აქაურს ვაგონის სააღმშენებლო ფაბრიკაში აგებული რუსეთის წითელ ჯვრისათვის ვაგონი-სამრეცხელო პირდაპირ ბრძოლის ველზედ მიდის.

**ქრისტიანია.** როგორც საღამოს გაზეთებს ტრომსედგან იუწყებიან, იქ მისულა კაპიტანი და მიუტანია საფოსტო ბოთლი, შპიცბერგენიდგან მიღებული. კაპიტანი იუწყება, რომ ბოთლი ნოტორსტის ექსპედიციას დაუტოვებიაო და საფუძველს მოკლებულია ის ხმა, ვითომც ეს ბოთლი ანდრეს ექსპედიციას ეკუთვნოდესო.

**მუკდენი.** (სააგ. საკ. კორესპ.). ჩვენის ჯარის მარცხენა განაპირა ფრთედის პირდაპირა სდგანან იაპონელნი,—ძიანჩანში. მტრის ქვეითა ჯარის მცირე ნაწილმა 2 აგვისტოს წინ წამოიწია და დაიჭირა დაპინდუშანის უღელტეხილი. ჩვენმა ჯარმა, რომელიც უღელტეხილს იცავდა, უკან დაიწია.

**სიმბირსკი.** მემკვიდრე ცესარევიჩის ალექსის დაბადების აღსანიშნავად საბჭომ დაადგინა,—დაარსდეს ხელმწიფა დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელობაზედ მშობიარეთათვის თავშესაფარი; იშუამდგომლონ, რომ დასაარსებლად განზრახულ პირველ-დაწყებითს სკოლას მემკვიდრის სახელი დაერქვას და აპატიოს ქალაქის მიწების ღარიბ მოიჯარდრეთ 6,000 მან. დარჩენილი გადასახადი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების აღსანიშნავად ბაზრის ვაჭართა კრებამ დაადგინა: აგებულ იქმნას ბაზარზედ (იარმარკა) ქვითკირის სახლი, რომელშიაც უნდა მოთავსდეს 300 ღამის გამთევი და უნდა გაიმართოს 200 იაფი სადგომი, აგრედვე შორეულ აღმოსავლეთის მეომართა საჭიროებისათვის გადადებულ იქმნას 25,000 მანეთი

**ჩიფუ.** პორტ-არტურიდგან მიღებულ ცნობებით, ციხეში ჯერ ისევ მხნედ არიან. ერთ-ერთს ამას წინად მომხდარ ყუმბარების დაშენის დროს, სიმაგრეებში მყოფმა იაპონელებმა სროლა დაუწყეს ერთს ჩვენს ძლიერ გამაგრებულს თხრილს, რომელზედაც იაპონელებმა ციხის სანგრევი ზარბაზნები დაამწკრივეს. ორის საათის შემდეგ,—იაპონელთა არტილერიის ზარბაზნები გააფუჭეს. ამ ჟამად იაპონელნი მაღლობებზედ ზარბაზნებს კი არა სდგამენ, არამედ მიწასა სთხრიან და შიგ ნაღმებს აწყობენ. მეციხოვნეთა მდგომარეობას ქება არ უნდა. გენერალი სტესელი ციხე-სიმაგრის ყველა ჯარებში დადის და ჯარის კაცთ ამხნევებს. სიმაგრე კარგადაა შეიარაღებული. პორტ-არტურში ნაღმოსანთა ფლოტილია სდგას, რომელიც ხელს შეუშლის ტოგოს ესკადრის მოქმედებას. ავადმყოფობა და არც განსაკუთრებული ზარალი ჩვენს ჯარში არ არის.

**პეტერბურგი.** გენ.-ადიუტ. კუროპატკინის დეპეშა მისს უდიდებულესობას, 3 აგვისტოს თარიღით: «ლაშქარში განსაკუთრებული ცვლილება არ არის. წვიმები ყველგან გადუღებელი. ხუნხუზები არა სცხრებიან. როგორც ცნობები მივიღე, იაპონელებს ლიანშანგუანსა და ფინხუანჩენს შორის ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა გაუყვანიათ, რომელზედაც ვაგონებს ხალხი აწვება და ისე მიჰყავთ».

**ტიანძინი.** (რეიტერი). რადგანაც იაპონიამ ჩინეთის ნეიტრალიტეტი დაარღვია ჩიფუში მყოფ რუსთა კონტრ-ნაღმოსნის შეპყრობით, ბევრი თანამგრძნობელი მოაკლდა იაპონიას და ჩინელმა მოხელეებმა ნდობა დაჰკარგეს იაპონიის მომხრეთა შორისაც კი.

**ტოკიო.** (რეიტერი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან ულუსანის მაღლობზედ ზღვაში მომხდარ ბრძოლის შესახებ, იაპონელთ ამ ბრძოლაში დაუკარგავთ 10 აფიცერი და 100 ჯარის კაცი

დაჭრილი და მოკლული. მიქადოს წინადადებას, რომლითაც პორტ-არტურის მშვიდობიან მცხოვრებთ ნება ეძლეოდა ქალაქი მიეტოვებინათ, ზედ დაერთო იაპონელთა ლაშქრის მთავარ-სარდლის წინადადებაც დამორჩილების შესახებ. პასუხს მოელოდნენ ოთხშაბათს.

**იაკოგამა.** (რეიტერი), კრეისერი «ნოვიკი» უნახავთ ვანდიმენოვის სრუტეში იაპონიის სამხრეთად ვლადივოსტოკს მიმავალი.

**ცინდაო.** (რეიტერი). ზღვაზედ ისმოდა ძლიერი სროლა ზარბაზნებისა.

**პეკინი.** (რეიტერი). ჩინეთის რკინის გზებს შეეკითხნენ, რამდენს ხანში შეიძლება გადაიყვანოთ 40,000 ჯარის-კაცი მანჯაიგუანსაო.

**ხარკოვი.** საბჭოს საგანგებო კრებამ დაადგინა, მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადება უქვეშევრდომილესად მოვულოცოთ მათ უდიდებულესობათ, დაუვიწყარ ვყოთ ეს ამბავი ახალ საქალაქო სკოლის დაარსებით ცესარევიჩის სახელობაზედ და გავანთავისუფლოთ გადასახადისაგან ქალაქის სკოლებში მოსწავლე შვილები ჯარის კაცთა, ომში დაჭრილთა და დახოცილთა და ჩავრიცხოთ იგინი ცესარევიჩის სტიპენდიატებათაო.

**შადრინსკი.** კრესტოვსკის ბაზრობაზედ სამხედრო საინტენდანტომ იყიდა დიდ-ძალი მოკლე-კალთებიანი ქურქები მანჯურიის ჯარისათვის. ჰყიდულობს ცხენებსაც. შუათანა შეძლების გლეხნი სიამოვნებით და არც ძვირად ჰყიდიან ცხენებს სამხედრო საჭიროებისათვის.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**
3 აგვისტოს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,05 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,80 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,52½ |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 92⅛ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულთა ბანკისა | 88⅞ წვ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 387 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 298 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა | 255¼ ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 90⅛ წვ. გაყ. |
| 6% ქუთ. სად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

# განცხადებანი



მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდოპრინი“ მ. ვ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში — საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

გამოვიდა და ისყიდება ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**

въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა, ფასი 70 კაპ.

(2—141—2).

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. გ. თოფურიას

# სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებით სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.



რ ო ი ა ი ლ ე ბ ი პ ი ა ნ ი ნ ო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პ რ ე ი ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

**ბ. მ. მირიმანიანისა.**

**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**

**В. М. МИРИМАНІАНЪ**

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—13)




ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდგან — 39 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაისხნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე — უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლის თანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა, — იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: **Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.**

აგვისტოს 25—31 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა- 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება- დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც

(17—6—17)

ქალაქ იურიევი, ლიფლიანდიის გუბერნიაში.

## კერძო საშუალო სასწავლებელი I რიგ. გუგო ტრეფნერისა

მოსამზადებელის კლასითა და **პანსიონით.**

ამზადებენ შეგირდებს სხვა სასწავლებლებში შესასვლელად, უმაღლეს სასწავლებლებში ეგზამენების დასაჭერად და სამხედრო სამსახურისათვის. შეგირდები მიიღებიან ყოველ დროს, სწავლების ღის პირველსაცა და მეორე ნახევარსაც. წლოვანება არ აბრკოლებს შეგირდის მიღებას. ფასი სწავლისა და შენახვისათვის 110 მ. ნახევარს წელიწადში. ძმებისათვის ფასი ნაკლებია. დაიწყება სწავლა 16 მარიამობისთვეს 1904 წ. არზის შემოტანა შეიძლება ყოველ დროს. უფრო დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება პირადად და წერილობით მიიღოს მსურველმა ქ. იურიევში (ლიფლ. გუბ.), საკუთარ სახლში, კონნაია ქუჩა, № 2.

აგმოვიდა ¢ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

# ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით.

თ ა რ გ მ ა ნ ი გ რ. ყ ი ფ შ ი ძ ი ს ა

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის — 60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.**

ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს კ ო მ პ ა ნ ი ა

# „ნ ა დ ე ჟ დ ა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირ ის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| **მირითადი თანხა** | **1.650.000 მან.** |
| **სათადარიგო თანხა** | **2.664.808 მან.** |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან უოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა უოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, აირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსრბოლით საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის — ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის — ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განთვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433.

(50—6.—45)



# ფეხსაცმელი

**ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,**

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.

**აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების** **საუკეთესო** **მაღაზიებში.**

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

СПЕТЕРБУРГЪ

**ვთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს,**

# ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი ს

„ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ე ლ ე რ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6—29).

Дозволено цензурою Тифлисъ 4 августа 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи